დანართი №1.3

შინაარსი

- ეკონომიკური საქმიანობა
- ნებადართული ეკონომიკური საქმიანობა
- სანქციები

2020 წლის 30 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო N204 დადგენილება * საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ N181-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების თანახმად იზღუდება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა დადგენილების მე-7 მუხლით განსაზღვრულისა.

1.ეკონომიკური საქმიანობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად.

ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:

- სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა
- საქველმოქმედო საქმიანობა
- რელიგიური საქმიანობა
- დაქირავებით მუშაობა
- ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე
- ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე განვმარტავთ თუ რა იგულისხმება დაქირავებით მუშაობაში, ეს არის:

- ფიზიკური პირის მიერ შრომის კანონმდებლობით რეგულირებული საქმიანობის განხორციელება;
- ფიზიკური პირის მიერ საქართველოს თავდაცვის ძალებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და მათთან გათანაბრებულ ორგანოებში სამსახური;
- ფიზიკური პირის მიერ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება.

* source: https://matsne.gov.ge/

1.1. ნებადართული ეკონომიკური საქმიანობა

რაც შეეხება ნებადართული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალს, დადგენილების თანახმად ესენია:

- სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა
- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაცია, ასევე მათი წარმოების, შენახვის, საბითუმო ვაჭრობისა და დისტრიბუციის, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოება
- წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხობების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობა
- ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოებისა/გადაცემისა/განაწილებისა/მიწოდება, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება
- კომერციული ბანკების საქმიანობა
- იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით
- საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობა;
- ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობა
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა
- საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდება/რეალიზაცია
- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება/დისტრიბუცია/რეალიზაცია
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობა
- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურება
- საკვები პროდუქტის მიტანის მომსახურება (ე.წ. „დელივერი სერვისი“)
- კერძო დაცვითი საქმიანობა
- საადვოკატო საქმიანობა
- **ავტოტექმომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა**
- **პრესის ჯიხურების საქმიანობა.**

საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმლის, აგრეთვე სპირტიანი სასმლისა და ლუდის სარეალიზაციო ობიექტების ფუნქციონირება.

საგანგებო მდგომარეობის ვადით რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებში/ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის (ე. წ. „დრაივის“) მომსახურებით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე.

თუმცა, გასათვალისწინებელია რომ საქართველოს მთავრობის მიერ შესაძლებელია გაფართოვდეს ნებადართული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი. უფრო მეტიც დადგენილების თანახმად საქართველოს სამინისტროებს ევალებათ საქართველოს მთავრობას დადგენილების ამოქმედებიდან 24 საათის განმავლობაში წარუდგინონ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებული ეკონომიკური საქმიანობების (საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების) ჩამონათვალი.

2. დამატებითი შეზღუდვები:

- იკრძლაება 70 წლის და მეტი ასაკის პირების მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვება
- იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 3 პირზე მეტი ოდენობით;.

აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება

- *იმ პირებზე რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებებში, თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში და დამართალდამცავ ორგანოებში იკრიბებიან მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე*
- *ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას.*
- *ასევე ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას (იმ პირობით რომ დაცულია ჯანდაცვის რეკომენდაციები და არანაკლებ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვის ვალდებულება.*

- იკრძალება ისეთი სოციალური ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია 3-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან.

საგანგებო მდომარეობის ვადით ჩერდება:

- სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა (გარდა დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;
- საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა გადაყვანა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის, მეტროპოლიტენითა და საბაგიროთი გადაადგილება;
- რეგულარული საჰაერო მიმოსვლა ქვეყნის შიგნით მგზავრთა გადაყვანის მიზნით. არარეგულარული (ჩარტერული) ფრენების განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით.

აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება:

- *საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე*
- *შეზღუდვა არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებისა და დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებლი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებზე/ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.*

საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს.

სანქციები

საგანგებომ დგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტით განსაზღვრული სანქციების დაწესებას:

- ფიზიკური პირების დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით
- იურიდიული პირების დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.